MES 7 20 00420082

01/06/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **ნინოდო ბორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. თამარ ტუფინაშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

12. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	I
2	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		I

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
3	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	თამარ გეთიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
5	ქეთევან გურჩიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი	I
6	ფლორიან მიულფრიდი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის წარმომადგენელი	I
7	თამთა ხალვაში	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	ვაჟა ვარდიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	II
9	ნინო ქათამაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	II
10	სოფიკო მეტრეველი	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტენტი	II
11	ნინო წიქვაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სპეციალისტი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თინა ღუდუშაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარიამ ვაშაკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მარიამ დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	რუსუდან ზაზაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სსწავლო უნივერსიტეტის „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სსწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

9. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი., 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, A კორპუსი.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ.
თვითაცილების საფუძველი: დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თინა ღუდუშაურმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული ეხება ილიას სახელწოფო უნივერსიტეტსა და გოტინგენის უნივერსიტეტის საერთო პროექტს, რომელიც აერთიანებს 12 დოქტორანტს და მათ აძლევს საშუალებას დაიცვან სადოქტორო ნაშრომი, მიიღონ ორმაგი სადოქტორო ხარისხი და ორივე უნივერსიტეტის დიპოლომი. პროგრამის შეფასებისას ძირითადად სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სულ რამდენიმე რეკომენდაციაა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული და ასევე არის რჩევები, რომლებიც ბუნებრივია არ წარმოადგენენ სავალდებულო ხასიათისას და ემსახურებიან პროგრამის განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თინა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან პირველი ეხება, პროგრამის სილაბუსებს. მანვე ისაუბრა რეკომენდაციებზე, კერძოდ ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდაციებს წარმოადგენს შემდეგი საკითხები:
ა) გადაიხედოს პროგრამის სილაბუსები, დაკორექტირდეს ქართული ენის თვალსაზრისით და შეივსოს ქართველი ავტორების რელევანტური სამეცნიერო ნაშრომებით. კერძოდ:
1. ქართულენოვანი და ქართველი ავტორების ნაშრომები არ არის მითითებული არცერთ სასწავლო კურსში "რელიგიის ანთროპოლოგიის" სასწავლო კურსის გარდა;
2. სასწავლო კურსი "სამედიცინო ანთროპოლოგია" შეივსოს შესაბამისი ქართული სამეცნიერო ლიტერატურით. კერძოდ, სასურველია მიეთითოს ამ სფეროში არსებული ქართველი მეცნიერების (ნ. გვათუა, მ. ბურდული, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე) სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებით, საქართველოში ამ მიმართულების ფუძემდებელი მეცნიერის ნინო მინდაძის მონოგრაფიები;
3. სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" სილაბუსის თემატიკა ითვალისწინებს საველე კვლევის ქართული მეთოდების სწავლებას, ამდენად რეკომენდებულ ლიტერატურაში უნდა იქნას დასახელებული ქართველი ავტორების შესაბამისი ნაშრომები;
4. სასურველია გასწორდეს სილაბუსებში არსებული ენობრივი ხარვეზები(პირდაპირი თარგმანი ინგლისურიდან და/ან აკადემიური ქართული ენისთვის ნაკლებად ორგანული ტერმინოლოგია) და გათვალსიწინებული იქნეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტ-ნაკლებად აპრობირებული და გაზიარებული ტერმინები.
ბ) რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი "აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს აისახოს კურსის სახელწოდებაშიც. მაგ. "აკადემიური წერა საერთაშორისო პუბლიკაციისთვის" რაც მეტად შეესაბამება კურსის მიზანს და თემატიკას;

გ) სასურველია მომზადდეს სადოქტორო კოლოქვიუმების წარდგენის ლოგიკური თანმიმდევრობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი და უზრუნველყოფილი იქნას მისი ხელმისაწვდომობა დოქტორანტისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა თამთა ხალვაშმა, რომელიც არის სოციალური და კულტურული ანტროპოლოგიის დოქტორი აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ჯგუფთან ერთად არის შემუშავებული. მანვე დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს იმისთვის, რომ მიეცათ საშუალება ამ პროგრამაზე ემსჯელათ. ასევე, აღნიშნა, რომ საინტერესო იყო ის კომუნიკაცია რაც სხდომაზე განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტის დროს, ძალიან კონსტრუქციული იყო შეხვედრა და ემსახურებოდა პროგრამის განვითარებასა და დახვეწას, რაც უნდა იყოს ასეთი შეხვედრების მიზანი და ამისთვის მადლობელია.
რაც შეეხება რეკომენდაციის ნაწილს, აღნიშნა, რომ მოკლედ ჩამოაყალიბებს თუ რატომ აღიქვეს ნაწილი რეკომენდაციების როგორც უფრო მეტად რჩევა, რომლებიც პრინციპში უკვე აღმოფხვრილი და გასწორებულია. მან აღნიშნა, რომ უკვე თითქმის შეთანხმდენენ, რომ ენობრივი ხარვეზები, ტექნიკური უზუსტობები, თუ ლიტერატურით სილაბუსების შევსება ეს ყველაფერი უკვე შეხვედრაზე აღმოფხვრილი იყო და ამ რჩევებს იზიარებდნენ პარარელურ რეჟიმში. მაგალითად პირველი რაც ქალბქტონმა თინამ აღნიშნა, სილაბუსების გადახედვა პრინციპში უკვე გაკეთებულია. ყველაზე მეტად, სილაბუსი, რომელსაც ეს კრიტიკა შეეხო არის „სამედიცინო ანთროპოლიგია". უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არჩევითი კატეგორიის საგნებშია და პირველივე შეხვედრის მერევე გაჯერდა სილაბუსი ნინო მინდაძისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებთანაც კოლეგიალური და კარგი ურთიერთობები აქვთ და თანამშრომებენ. სხვადასხვა ეტაპზე მათგან რჩევები რეკომენდაციები თუ მათი აზრები გაუზიარებიათ და საერთო გეგმები და პროექტებიც აქვთ მომავალში განსახორციელებელი. ამიტომ ეს საკითხი უბრალოდ იყო პატარა ხარვეზი, რომელიც იქვე შესწორდა.
რაც შეეხება კვლევითი მეთოდების კურსს, ფლორიანის კურსია და თუ უფრო დაინტერტესდებიან შეუძლიათ პირადადაც დაუსვან კითხვა. აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით დაამატა, რომ იქაც არის ქართულენოვანილ ლიტერატურა, თუმცა ჩამოთვლილი არ იყო სახელები და გვარები, მაგრამ მითითებული იყო, რომ ერთ-ერთი სალექციო კვირა მიძღვნილია ქართული ეთნოგრფიული და ანთროპოლოგიული ლიტერატურის განხილვისთვის. თუმცა არ იყო ჩამოთვნილი რომელ ავტორებზე იქნება დაფუძნებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ესეც ძალიან მარტივად ერთ წუთში გამოსწორებული ხარვეზია რაც ასევე ჩათვალეს, რომ რჩევითი ხასიათის იყო, რაც მათსავე პასუხშივე აღნიშნულია. მთავარი რაც პასუხში აქვთ მითითებული და დასკვნაშიცაა, არის ის, რომ სილაბუსებში და კონცეფციებში მითითებული ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა ეფუძნება დარგის აქტუალურ მიღწევებსა და უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. ამიტომაც ამ პასუხში შეეცადნენ აეხსნათ რატომ ჩათვალეს, რომ ეს რეკომენდაციები რჩევითი ხასიათის იყო და ნამდვილად გაითვალისწინებენ ამ რჩევებს.
რაც შეეხება ინგლისურენოვან კურსზე შემდეგ რეკომენდაციას: „რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი "აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს აისახოს კურსის სახელწოდებაშიც. მაგ. "აკადემიური წერა საერთაშორისო პუბლიკაციისთვის" რაც მეტად შეესაბამება კურსის მიზანს და თემატიკას"- აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახელწოდება სწორად ასახავს მის შინაარს, რადგან მაღალი სტანდარტის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და არ ფიქრობენ, რომ დაკონკრეტება საჭიროა საკუთარი თავის პროვინციალიზაციით. აქაც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია რჩევითი სახის იყოს ეს რეკომენდაცია. ამასთან, ეს კურსი მთელს უნივერტეტში ისწავლება არა მარტო ამ პროგრამაზე და ფაკულტეტის დონეზეა ეს კურსი შემოთავაზებული.

რაც შეეხება ენობრივი სახით გადახედვას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ, ამევე დროს აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი ტერმინი რასაც თარგმნიან ჯერ-ჯერობით არ არის დამკვირდერბული, მაგალითად, “turn” თარგმნეს როგორც შემობრუნება და თუ ამ ტერმინის თარგმანი არაა დამკვიდრებული, იმას თუ როგორ თარგმნიან არის სამეცნიერო რესიპპროკულობის, გაცვლის შედეგად დასამკცვიდრებელი ტერმინები. ხოლო, ისეთ ტერმინებს რაც უკვე დამკვიდრებულია, რა თმა უნდა იმათ გაივალისწინებენ და უკვე შესწორებულიცაა. დაწესესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, იმისთვის, რომ მსგავს საკითხებზე მიაქცევინეს ყურადღება.

ბოლო რეკომენდაციაზე, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათაც ჰქონდათ ეს მოსაზრება და გაუზიარეს ექსპერტებს, რომ აუცილებლად კოლოქვიუმები რაც სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია ყველა დოქტორანტი სემესტრის ბოლოს ვალდებული იქნებოდა წარმოედგენა ანგარიში და კარგი იქნებოდა სქემა ჰქონოდათ, რომლის მიხედვითაც იმოქმედებდნენ სტუდენტები, მაგრამ მსჯელობის შემდეგ უკვე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდობით მიღეს გადაწყვეტილება, რომ ძალიან რთული იქნება ერთი შაბლონის მორგება ყველა სადოქტორო თემაზე და განსახორციელებელ ეტაპზე სადოქტორო თემის. ამიტომ ჩათვალეს საჭიროდ, რომ აღნიშნული მიენდოთ სტუდენტისა და ხელმძღვანელის კომუნიკაციაზე, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შედეგად წარადგენენ საკუთარ ანგარიშს და ამის ამსახველ დოკუმენტს დარგობრივ კომისიასაც უგზავნიან. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებითად ფიქრობენ, რომ რჩევითი ხასიათის შეიძლება იყოს, იმისთვის, რომ სავალდებულოდ არ ჩასვან სხვადასხვა დოქტორანტი ერთ შაბლონურ სქემაში.

დასკვნის სახით დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ფიქრობს, აღნიშნული სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ ის განვითარებულია საერთაშორისო ექპერტებთან მჭირდრო კომუნიკაციის პროცესში. ამას უზრუნველყოფს საბჭო, რომლის წევრებიც არიან წამყვანი უნივერსიტეტების ესპერტები, პროფერორები და თანახმანი არიან მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში, როგორც თანახელმძღვანელებმა. შესაბამისად ფიქრობენ, რომ ეს მიღწევა, რომელიც მათ კოლეგებთან ერთად შეძლეს და ასახეს გამოარჩევს ამ პროგრამას სხვა პროგრამებისგან და უნდა მიეცეთ საშუალება შეუფერხებლად განახორციელონ ეს პროგრამა.

საბჭომ თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს რამდენი სტუდენტის მიღებას ვარაუდობენ. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ პირველ ეტაპზე სამ, ოთხ სტუდენტზე მეტს არ ვარაუდობენ. ისინი ორიენტირებულები არიან ხარისხზე და უნდათ ამ სტუდენტების კველევები დაუკავშირონ საერთაშორისო კვლევითი საბჭოს ინტერესებსაც. ამ ეტაპისთვის სამ, ოთხ სტუდენტს ფიქრობენ, თუმცა გამოცდილება აჩვენებთ რა იქნება მომავალში.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად საინტერესოა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს არსებობა, პროგრამა გერმანულ უნივერტეტთან თანამშრომლობით არის შემუშავებული და ორმაგი ხარისხის მინიჭებასაც ითვალისწინებს. თუ შეუძლიათ, დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უთხრან როგორ ხდება აღნიშნული თანამშრომლობა და იქაური გამოცდილების გაზიარება, კვლევის კომპონენტებისა თუ სასწავლო კურსების აღიარების ნაწილშიც.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერტეტის სხვა წარმომადგენლებს შეუძლიათ ისაუბრონ, ამაზე რადგან აღნიშნული არა მხოლოდ პროგრამის არამედ მთლიანად უნივერსიტეტის მიღწევაა. საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას განხილვაში აღნიშნა, რომ ამ პროექტის ხელმძღვანელი ისიც იყო, ეს არის საუნივერსიტეტო ზოგადი ჩარჩო თანამშრომლობა გოტინგენის და მიუნტერნის უნივერსიტეტებთან. 2017 წელს გაფართოვდა უნივერსიტეტთა წრე, დაემატა ლუვენის უნივერსიტეტი და ბონის უნივერსიტეტი სადაც ორი დოქტორანტია. ამ ეტაპზე შედის 8 პროგრამა, თავდაპირველად აღნიშნული დააფინანსა ფოლსვაგენის ფონდმა და შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. ეს გულისხმობს სამ წლიანი ციკლიდან 1

წელიწადის ანუ 2 სემესტრის საერთაშორისო უნივერსიტეტში გატარებას და სტუდენტს 60 კრედიტი ჩამოაქვს იქიდან. ეს არის აპრობირებული პრაქტიკა. ეს იყო ფოლსვაგენის შეთავაზებული შესაძლებლობა, 5 გრანტი იყო და მათ გქონდათ 2 გრანტი. პირველი დოქტორანტი რომელიც ამ თანამშრომლობის ფარგლებში დაიცავს დისერტაციას იქნება 2021 წელს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება ქეთევან გურჩიანმა დაამატოს თავისი მოსაზრება რადგან გარდა იმის, რომ ჰყავთ საერტაშორისო ექსპერტთა საბჭო პროგრამის უპირატესობა ისიცაა, რომ უკვე გრანტები აქვთ რუსთაველის ფონდიდან მოპოვებული და ჩართული ჰყავთ სტუდენტები და პროფესორები და კარგი იქნება ქეთი გურჩიანი თუ გამოთქვამს მოსაზრებას, რადგან ის არის ერთი გრანტის მონაწილე და მეორე გრანტის ხელმძღვანელი.
ქეთი გურჩიანმა მოახსენა საბჭოს, რომ სასიამოვნოა მათთან შეხვედრა. როგორც აღინიშნა აქვთ რუსთაველის ფონდის ორი გრანტი, სულ არიან 5 პროფესორი, ხოლო ორი ასეთი გრანტი დიდი რესურსია. ერთი გრანტი ეხება თბილისის როგორც ურბანული სივრცის კვლევას და მეორე სამედიცინო ანთროპოლოიგიის კუთხით არის, რომლის ხელმძღვანელია ელენე გავაშელიშვილი. ჰქონდათ რუსთაველის გრანტი ჩართული იყო სამი დოქტორანტი და სამივემ სამი წლის მანძილზე შეძლო პუბლიკაციების საერთაშორისო გამოქვეყნება და დაცვა. რაც ადასტურებს, რომ მოდელი რომელსაც ამ სტუდენტებს წაიღვანს წარმატებისკენ უკვე მოქმედებს.
საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილი დაამატა, რომ პროგრამაში გაწერილია სადოქტორო კოლოქვიუმები და სადისერტაციო ნაშრომი. ამასთან, გაწერილია, რომ კოლოქვიუმი და სადისერტაციო ნაშრომი ერთ სემესტრშია, ხომ არ აჯობებდა, რომ ჯერ კოლოქვიუმი იყოს და მერე დაცვა.
დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ეს ასეც იგულისხმება და უბრალოდ ენობრივად დაკონკრეტება არ ჩათვალეს საჭიროდ. ფიქრობენ, რომ ეს კოლოქვიუმი რადგანაც ერთგვარად არის ანგარიში და დაცვის რეპეტიცია გაცილებით უფრო გააძლიერებს ნაშრომის ხარისხს. იმავე სემესტრში დოქტორანტი კიდევ უფრო ძირეული უკუკავშირის მიიღებს.
საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა დაამატა, რომ გულისხმობს, თუ დოქტორანტს ანაგარიშის წარმორდგენის დროს არ ჰქონდა სწორი მიმართულება დრო ხომ უნდა ჰქონდეს, რომ გამოასწოროს. ამაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ კოლოქვიუმი ყველა სემესტრშია სავალდებულო და ეს შემაჯამებელი კოლოქვიუმია. სწორედაც დაცვისთვის მოამზადებს კარგად სტუდენტს. ამ კოლოქვიუმამდე წინა 5 კოლოქვიუმზე მუდმივი უკუკავშირი აქვს სტუდენტს მიღებული. მეექსვე კოლოქვიუმზე კი ვერც წარდგება ისე, რომ არ ჰქონდეს გამართული ნაშრომი. და შესაძლებელია ეს ერთ სემესტრში მოთავსდეს.
მხარეებმა მადლობა გადაუხადეს ერთმანეთს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მიიჩნია, რომ 2.6 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" და შესაბამისად მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

ა) გადაიხედოს პროგრამის სილაბუსები, დაკორექტირდეს ქართული ენის თვალსაზრისით და შეივსოს ქართველი ავტორების რელევანტური სამეცნიერო ნაშრომებით. კერძოდ:
1. ქართულენოვანი და ქართველი ავტორების ნაშრომები არ არის მითითებული არცერთ სასწავლო კურსში „რელიგიის ანთროპოლოგიის" სასწავლო კურსის გარდა;
2. სასწავლო კურსი „სამედიცინო ანთროპოლოგია" შეივსოს შესაბამისი ქართული სამეცნიერო ლიტერატურით. კერძოდ, სასურველია მიეთითოს ამ სფეროში არსებული ქართველი მეცნიერების (ნ. გვათუა, მ. ბურდული, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე) სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებით, საქართველოში ამ მიმართულების ფუძემდებელი მეცნიერის ნინო მინდაძის მონოგრაფიები;
3. სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" სილაბუსის თემატიკა ითვალისწინებს საველე კვლევის ქართული მეთოდების სწავლებას, ამდენად რეკომენდებულ ლიტერატურაში უნდა იქნას დასახელებული ქართველი ავტორების შესაბამისი ნაშრომები;
4. სასურველია გასწორდეს სილაბუსებში არსებული ენობრივი ხარვეზები (პირდაპირი თარგმანი ინგლისურიდან და/ან აკადემიური ქართული ენისთვის ნაკლებად ორგანული ტერმინოლოგია) და გათვალსიწინებული იქნეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტ-ნაკლებად აპრობირებული და გაზიარებული ტერმინები.
ბ) რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი „აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს აისახოს კურსის სახელწოდებაშიც. მაგ. "აკადემიური წერა საერთაშორისო პუბლიკაციისთვის" რაც მეტად შეესაბამება კურსის მიზანს და თემატიკას;
გ) სასურველია მომზადდეს სადოქტორო კოლოქვიუმების წარდგენის ლოგიკური თანმიმდევრობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი და უზრუნველყოფილი იქნას მისი ხელმისაწვდომობა დოქტორანტისთვის;

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2. **მეორე საკითხი -** შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იაგო კაჭკაჭიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ კომისიამ შეიმუშავა ხუთი რეკომენდაცია სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.
1. საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას კურირებს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომლის კვლიფიკაცია სოციოლოგიაში ამოიწურება სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით, მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის მეორე ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში.

2. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორი ხელმძღვანელის კვალიფიკაციის (სოციოლოგიის დარგში) არსებითი განსხვავებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მათ შორის განხორციელდეს კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა. კერძოდ, პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა აიღოს დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელმა. ეს გულისხმობს პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების რევიაზიას, პედაგოგთა მოწვევას და ა.შ; რაც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ის ძირითადად დაკავდეს პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხებით.

აქედან გამომდინარე, პროგრამას ჰყავდეს არა თანაბარი უფლებამოსილების მატარებელი ორი ხელმძღვანელი, არამედ ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და ერთიც - თანახლმძღვანელი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.

4. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის:

• კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1;

• თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები;

• სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლვეის მეთოდები.

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსს „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსს. „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“ ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული პროგრამიდან, ან შეიცვალოს მისი ფოკუსი და კურსმა აქცენტი დასვას სოციალური მცნიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური კვლევის კონკრეტულ მეთოდებს

6. აუცილებელია, რომ “სოციოლოგიის შესავლის“ და „რელიგიის სოციოლოგიის“ კურსების სილაბუსები გამდიდრდეს ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ლიტერატურით.

დაწესებულების რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს პანდემიის დროს შექმნილ პირობებში მუშაობისთვის და იმისთვის, რომ მიუხედავად სირთულეებისა აკრედიტაციის პროცესი არ შეფერხებულა. მადლობა გადაუხადა ასევე ექსპერტებს, აღნიშნა, რომ მათი მისვლა დაწესებულებაში და მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ეს არ იყო მექანიკური პროცესი შედარება შეფასება, არამედ აზრთა ურთიერთგაზიარების შემოქმედებითი პროცესი რაც პროგრამის განხორციელებას ძალიან წაადგება.

ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თავის პროფილს ხედავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათი მისიის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს. აღნიშნა, რომ უნდათ თავისი წვლილი შეიტანონ ქართულ რეალობაში სოციოლოგიის დისციპლინის განვითარებაში. თავად ბაზრის მოთხოვნა დიდია ამ მიმართულებით, ასევე, უნივერსიტეტების გამოწვევაა ეს და ამ მიმართულების განვითარებას რაც შეიძლება ხელი უნდა შეუწყონ, მომავალი თაობა კარგი სოციოლოგებით უზრუნველყონ და კვლევით საქმიანობაში დაეხმარონ. უნივერსიტეტს აქვს ის განსაკუთრებულ რესურსი, რომ საერთაშორისო მაშტაბით ინტეგრირება მოახდინონ. პროგრამის ხელმძღვანელი არის უცხოელი ქალბატონი, უნივერსიტეტის პოლიტიკის განმახორციელებელი ნაწილია უცხოელი სპეციალისტების ჩართვა, რაც არ გულისხმობს ინდივიდუალურად უცხოელებს, ამის უკან დგას პარტნიორი უნივერსიტეტების პოტენციალი და ეს თანამშრომლობა უფრო კომპლექსური და მაშტაბური გახდება. განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ახალი კონტაქტების არსებობას. დროთა განმავლობაში უნივერსიტეტი გამოკვეთს იმ მიმართულებას რაც ძლიერ მხარეს წარმოადგენს უნივერსიტეტში, მსგავსად თეოლოგიის მიმართულებისა, როგორც სწავლის ასევე კვლევის მიმართულებითაც. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ სურდა ის ფონი წარმოეჩინა თუ რა პოლიტიკა აქვს უნივერტეტს სოციოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში.

ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა ნინო ქათამაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს ამ რეჟიმში მუშაობისთვის და განმარტა, რომ პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე სოფიკო მეტრველი ისაუბრებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელი.

პირველი რეკომენდაცია, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება ექსპერტთა დასკვნის საბოლოო ვერსიაში გადატანილი იყო უკვე რჩევით ნაწილში. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა მხარეებს, რომ მხოლოდ არსებულ რეკომენდაციებზე გაემახვილებინათ ყურადღება.
დაწესებულების წარმომადგენლის ნინო ქათამაძის განმარტებით პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავს, ერთი არის სოციოლოგიის დოქტორი, ხოლო მეორე ხელმძღვანელი დოქტორანტია და მაგისტრი კიონფლიქტოლოგიის მიმართულებით. ასევე მან განმარტა, რომ ორი პირის ხელმძღვანელობა გულისმობს, რომ ეს პირები ერთმანეთის თანახელმძღვანელები არიან. პროგრამის ერთპიროვნული კონცეპტუალური ლიდერი არის ლენარდ კროში, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში ნებისმიერ ეტაპზე. ასევე, არაა სწორი აპელირება პროგრამის ხელმძღვანელის მხოლოდ ბაკალავრის ხარისხზე. სოფიო მეტრეველს აქვს დიდი გამოცდილება სოციოლოგიის მიმართულებით და თვლიან, რომ არ მიემართება ეს რეკომენდაცია პროგრამის შინაარსობრივ მხარეს.
მეორე რეკომენდაციასთან, დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის შემდეგენელი არის პროგრამის ხელმძღვანელი თუმცა სტუდენტს აქვს საშუალება თავად აირჩიოს ნებისმიერი სხვა ხელმძღვანელი.
საბჭოს წევრმა ირმა წერეთელმა, დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვა კითხვა იმის თაობაზე, რომ დაეკონკრეტებინათ თუ რა ფორმით არის პლონელი პროფესორი ჩართული პროგრამის განხორციელებაში და ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტების რეკომენდაციას.
დიმიტრი გეგენავამ დაამატა განმარტებისთვის, რომ ბატონი იაგოს რეკომენდაცია არ გულისხმობდა პროფესორის შინაარსობრივ ჩართვას, გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ როგორც კონცეპტუალურად ისე პრაქტიკულად პოლონელი პროფესორი სრულად ჩართულია და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, ქართველი პერსონალის არსებობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ქართულ გარემოსთან ადაპტირება მოახდინოს. პოლონელი პროფესორი სემესტრულად ჩამოდის და ინგლისურენოვან საგნებსაც კითხულობს და სხვა მომიჯნავე პროგრამებზეც იტვირთება და სრულად ინტეგრირებულია პროგრამასთანად და უნივერსიტეტთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიკო მეტრეველმა მადლობა გადაუხადა ყველას, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაზე კარგად აისახება. ქალბატონი კატარჟინას სახელით ბოდიში მოიხადა რადგან ვერ ესწრება საბჭოს სხდომას პოლონეთში შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე მოხალისედ მუშაობდა, რის თაობაზეც წერილიც არის გამოგზავნილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ძირითადად გადაფარვების საკითხს შეეხებოდა, რადგან სხვა საკითხებზე უკვე ისაუბრეს. პირველი გადაფარვა გამოწვეულია ცოდნის გაღრმავებით. თითოეული კურსის შესაბამისად იკითხება და იდენტური არაა და ვინაიდან დამთხვევა აისახება სამი კვირის ფარგლებში მათი შეცვლა შესაძლებელია და გაითვალისწინებენ. რაც შეეხება სოციოლოგიური კვლევის მეთოდებსა და თვისობრივი კვლევის მეთოდებს, მათი აზრით გადაფარვა არ ფიქსირდება. ერთი არის შესავალი და მეორე არის გაღრმავება და განსხვავებულია ლიტერატურაც. ეს არის მოსამზადებელი კურსი ანუ შესავალი კურსი, რომელიც სტუდენტებს ცოდნას აძლებს და შემდეგ გაღრმავების საფუძველზე სიღრმისეულად სწავლობენ. ამიტომ რეალურად გადაფარვა არ არის და სიღრმისეულად ისწავლება გამაღრმავებელ საგანზე ეს კურსები.
ესქპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იაგო კაჭკაჭიშვილმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ საბუთებსა და დოკუმენტებში ისეა წარმოდგენილი, რომ პროგრამას ჰყავს ორი თანაბარუფლებიანი სრულფასოვანი ხელმძღვანელი, არსად არაა მითითებული, რომ ქალბატონი კატარჟინა არის ძირითადი ხელმძღვანელი და სოფიკო მეტრეველი თანახელმძღვანელი, მან სოფიკო მეტრევლის მიმართ პატივისცემა დაადასტურა, აღნიშნა, რომ მაგისტრის ხარისხი კონფლიქტოლოგიაში აქვს და სულ ახლახან კონფლიქტოლოგიის დასადოქტორო პროგრამიდან სოციოლოგიის სადოქტორო მიმართულებით გადავიდა. ფიქრობს, რომ როცა ლაპარაკია პროგრამის ხელძღვანელობაზე ეს

სტატუსი უნდა გულისხმობდეს მინიმუმ სამაგისტრო ხარისხს იმ დარგში და სპეციალობაში რომელსაც ეძღვნება პროგრამა. ხოლო მისი კვალიფიკაცია სოციოლოგიაში ბაკალავრის ხარისხით ამოიწურება.
რეკომენდაციაა, რომ ჩაიწეროს დოკუმენტებში, სოფიკო მეტრეველი ასისტენტობას უწევს პოლონელ პროფესორს. როდესაც საუბარია საბაკალავრო ნაშრომებზე, საბაკალავრო ნაშრომების პროცესის ხელმძღვანელი არის სოფიკო და ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ამ პროცესში დარტივრთვა უნდა აიღოს დოქტორის ხარისხის სოციოლოგმა. საბაკალავრო ნაშორმი არ წარმოადგენს მარტივ საქმიანობას და ის კვლევის კომპონენტსაც და თეორიული ცოდნის კომნეტენციასაც მოიცავს. რაც შეეხება კურსებს შორის გადაფარვებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინა გადაფარვებთან დაკავშირებით რას იზიარებდნენ და რას არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული კურსებისთვის სილაბუსების ლიტერატურა იდენტური არაა. სხვადასხვა ავტორის წიგნებია და განსხვავდება მათი ხედვა ამ სალექსიო კურსებზე, ესენი იკითხება კონკრეტული საგნის ჭრილში. ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციას ნაწილობრივ იზიარებენ და ამის შესახებ, რომ დაკონკრეტდეს თემატიკა ლექტორებსაც ექნებათ მითითება.
საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი სახელი მითითებულია როგორც სილაბუსის შემქმნელის და თითოეულ სტუდენტს არ უკრძალავს თავისი სურვილით აირჩიონ ხელმძღვანელი და მასთან ერთად იმუშაონ, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ თვითონ იქნება ხელმძღვანელი და ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია, უბრალოდ როგორც სილაბუსის ავტორი ასე ეთითება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მარიამ დალაქიშვილმა დაამატა, რომ მიუხედავად წარმოდგენილი პოზიციისა ისევ იმ აზრზე რჩება, რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა მათ შორის საბაკალავრო ნაშრომზე და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზეც. პოლონელი პროფესორი ყველა კურსის სილაბუსზე და მათ ბმასთან არ იყო საქმის კურსში და როგორ იქნება პასუხისმგებლობები გამიჯნული დღესაც მისთვის მნიშვნელოვან საკითხად რჩება მიუხედავად იმის, რომ დაწესებულების პოზიცია მოისმინა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სილაბუსების გადაფარვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსებში თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები საუბარია ორ ავტორზე, ორივე სილაბუსში წარმოდგენილია მათი თეორიის ქვაკუთხედი და ორივე სილაბუსში გამახვილებული აქცენტების მიხედვით განსხვავება არაა. ლიტერატურა შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ განხილული თემები შინაარსობრივად იგივეა. ასევე, ცოტა უცნაურად ჩანს რატომ შეყავთ მიშელ ფუკო თანამედროვე სოციალურ თეორიებში მაშინ, როცა ის პოსმოდერნული სოციალური თეორიის წარმომადგენელია, თუმცა ეს არ წარმოადგენს დიდ პრობლემას, მთავარია გადაფარვები აღმოიფხვრას. გადაფარვასთან დაკავშირებით ორ კურს შორის, სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები რჩება იმ აზრზე, რომ ამ ორ კურსს შორის ცოტა განსხვავებაა და ეს შეიძლება დასტურდება, იმით, რომ ორივე სილაბუსით ისწავლება კვლევის ეთიკა, შემთხვების შესწავლა და სხვა საკითხები, რაც ორივე სილაბუსში მეორდება. რაც შეეხება ლიტერატურას ძირითადი ლიტერატურაც მეორდება, გამოყენებულია თინათინ ზურაბიშვილის წიგნი, ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ორივე საგანი წარმოადგენს სპეციალობის სავალდებულო საგანს, გამოდის, რომ ორივე კურსის ფარგლებში სტუდენტები ერთსა და იმავე თემას სწავლობენ. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ავტორებს შორის დიდი განსხვავებაც არაა და ამიტომ გადაფარვა უნდა დაიძლიოს. იმ არგუმენტს, რომ პირველი წამროადგენს შესავალ კურს და მეორე გაღრმავებას არ ეთანხმება, ყველაზე აშკარა ინდიკატორი არის დრო. დროის თვალსაზრისით განსხვავება არაა და თანაბრად ეთმობა ამ კურსებს. მცირე განსახვავება ისაა, რომ ამ ორიდან ერთ-ერთ კურსში დამატებულია ახალი მეთოდი რაც სხვა კურსში არ ისწავლება. განსხვავებები ნაკლებია იდენტურ გადაფარვებთან შედარებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იზიარებენ რეკომენდაციას კურსების სილაბუსების გამდიდრების შესახებ.
საბჭოს წევრმა ირმა წერეთელმა აღნიშნა, რომ მიგრაციის კურსთან დაკავშირებით კარგი სახელმძღვანელო გამოვიდა ქართულ ენაზე და სასურველია, რომ ეს ქართულენოვანი სახელმძღვანელოც იქნას გათვალისწინებული. ასევე დასვა კითხვა თუ რამდენად საუნივესიტეტო პროგრამებია, საოფისე პროგრამების შესწავლა, ლიდერობა, საქმიანი კუმუნიკაცია, კრეატივი და აღნიშნა, რომ მისი აზრით ესენი არიან უფრო მეტად ერთკვირიანი ტრენინგების საგანი.
დიმიტრი გეგენავამ უპასუხა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ამ საკითხზე და ამას კვლევებიც ადასტურებს, რომ სტუდენტები მოუმზადებელები არიან საოფისე პროგრამებში, "ვორდის" და "გუგლის" გამოყენება არ იციან. საბჭოს წევრმა ირმა წერეთელმა აღნიშნა, რომ ხშირად სტუდენტებმა ეს დიპლომის აღების შემდეგაც არ იციან და ეს არ ნიშნავს, რომ ეს საგნები საუნივერსიტეტოა.
დიმიტრი გეგენავამ კვლავ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა, საგნებს სპეციალისტების მიერ შეფასებული ინფორმატიკის დოქტორები კითხულობენ და კვალიფიკაციის ჩარჩოც ითვალისწინებს ამ ტექნიკურ უნდარების განვითარებას. ასევე, კრეატივის და იდეების გენერირების საგნებით კი უნივერსიტეტი გამორჩეულია და რამდენიმე უნივერსიტეტმა გადაიღო კიდევაც და ეს მიმართულებები არათუ ტრენინები სამაგისტრო პროგრამების სახითაც კი არსებობს და კრეატივის მიმართულებით სპეციალისტების მოძიებაც ძალიან დეფიციტურია.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ დაადასტურა, რომ მოლაპარაკების ხელოვნება იკითხება ცალკე საგნად და კრეატივი ასევე მასწავლებელთა პროგრამებშიც შედის.
დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ აღნიშნული კურსების შეთავაზება სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობაა, არჩევითი საგანია და ამით მათ შეუძლიათ თავად აირჩიონ გასავლელი კურსები და რატომ უნდა შეეზღუდოს სტუდენტს ეს შესაძლებლობა. ასევე მანვე აღნიშნა, რომ მის უნივერტეტზე პასუხს აგებს, რომ სტუდენტებს აქვთ ძალიან კარგი შედეგები ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა იმ გადაფარვებზე რაზეც ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებს თუ მოხდა შეხვედრა სილაბუსის ავტორებთან და როგორ აიხსნა დუბლირება, ასევე დაამატა, რომ საკითხების დუბლირებაში პრობლემას ვერ ხედავს და ვერც პროგრამის ხელმძღვანელი ვერ გადაწყვეტს თუ თავად ლექტორებმა არ მიიღეს გადაწყვეტილება და მათთან შეხვედრა არ მოხდა.
დიმიტრი გეგენავამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პოზიციაშიც უწერიათ, ითვალისწინებენ სამი თემის გადაფარვას და ლიტერატურის გამდიდრებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის დარგობრივი მიმართულება იკრიბება საბჭოზე სადაც ლექტორების არგუმენტირებული პოზიცია იყო მოსმენილი. მათთვის ძალიან მარტივი იქნებოდა ცვლილებების განხორციელება და მათი მიზანი არაა კვალიფიციალურ ექსპერტებს წინააღმდეგობა გაუწიონ, მაგრამ თავად ლექტორების პოზიციაა, რომ ისინი განსხვავებულ ჭრილში ასწავლიან და სურთ ასე დატოვება. ეს შეხვერდა ნამდვილად ჩატარდა. მაგალითისთვის დიმიტრი გეგენავამ მოიყვანა შესავალი სამართალმცოდნეობაში, რომელსაც ამ პრინციპით ყველა საგანთან აქვს გადაფარვა, რადგან შეიძლება სისხლის სამართალსაც ეხებოდეს და სამართლი სხვა დარგებსაც.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული საგანი არის კონკრეტული ლექტორის პრეროგატივა, რას ხედავს ის კონკრეტულ სალექციო კურსში და თითოეულ ლექტორს თავისი ხედვა აქვს რაშიც ხედავს ჯაჭვურ ბმას, ამიტომაც არის, რომ არ ეთანხმებიან არა პროგრამის ხელმძღვანელები არამედ საგნის წამკითხველი ლექტორები, მათი თვალსაზრისია, რომ სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ. მათი ხედვები გაზიარდა შეხვედრის დროს, თუმცა თუ რეკმენდაცია დარჩა მზაობას გამოხატავენ შესაბამის ცვლილებებზე.
აქ იგულისხმება ლიტერატურის გაღრმავება და შესაბამისი ჩაშლა, როგორც ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა ლექტორების თვალთახედვა შეიძლება უფრო დეტალურად ჩაიშალოს,

თითოეული ლექტორს აქვს თავისი ხედვა ვისთანაც ესპერტებსაც ჰქონდათ შეხვედრა. დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ ორივე ხელმძღვანელი ჩართული იყო, ასევე ვერ დაეთანხმება, რომ საგნების შინაარს არ იცნობდა პოლონელი პროფესორი, ყველაფერი თარგმნილია და მთელი წარმოების ნახევარი თითქმის ინგლისურად მიდიოდა ამის გამო. ესპერტების რეკომენდაციას იმ თვალსაზრისით გაიზიარებენ თუ საჭიროა დეტალიზება და ჩაშლა, რომ თვალნათელი იყოს სხვაობა მათ შორის. ხელმძღვანელის ჩართულობა სემანტიკის საკითხია, ხელმძღვანელს თუ ჰყავს თანახელმძღვანელი თავადაც თანახელმძღვანელია. ასევე თუ ფორმალურად მაინც მოითხოვება, რომ ეს დაზუსტდეს ისინი თანახმანი არიან. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავს სოციოლოგიის დოქტორანტის პროგრამის ხელმძღვანელობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პედაგოგია და ასწავლის სოციოლოგიური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს, მის სილაბუსში ისევე როგორც რომელთანაც არის გადაფარვა არის თემები ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დაკვირვება, ეთნოგრაფიული კვლევა, კვლევის პროფესიული ეთიკა ამ კურს აქვს გაუმართლებელი გადაფარვა სხვა კურსთან, მაგალითად ფოკუს ჯგუფების ფარგლებში როცა ერთიდაიგივე დრო ეთმობა რაში მდგომარეობს გაღრმავებული და ნაკლებ გაღრმავებული მეთოდი, როცა ერთი მეთოდია და ეთმობა იგივე დრო, სილაბუსში ლიტერატურაც არსობრივად იგივეა, მაგალითად ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ორი სხვადასხვა ლექტორის კურსია და მისი კურსი არის არის შესავალი.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ კურს არ ჰქვია შესვალი და აპელირება შესავალზე ზუსტი არ არის და ითხოვა კონკრეტული პასუხის გაცემა ფოკუს ჯგუფთან მიმართებით, როცა ამ მეთოდებს ერთიდაივე დრო ეთმობა რას გულისხმობს ნაკლებ გაღრმავებული და უფრო გაღრმავებული. სოფიკო მეტრეველმა უპასუხა, რომ მისი კურსის ფარგლებში ზოგად თეორიული ცოდნის მიღება ხდება და შემდგომ უფრო პრაქტიკულ ცოდნას იღებენ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, უპასუხა, რომ მის კურსს პრაქტიკუმი აქვს რომლის მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება, ამიტომ პრაქტიკაზე აპელირებაც არაა ზუსტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არ არის სავალდებულო საგნის დასახელებაში მითითებული იყოს, რომ შესავალია და მთავარია კურსის საფეხური პირველი კურსის პირველი სემესტრის შესაბამისად შესავალს გულისხმობს. დასახელებაში შესავლის დამატება ცვლილებას არ გვაძლევს, თუმცა ასევე შეუძლიათ შეცვალონ სახელწოდება, მაგრამ ამით სილაბუსის ცვლილება არ ხდება. ეს არ არის მხოლოდ მათი პრაქტიკა, ამასთანავე ევროპული უნივერსიტეტების პრაქტიკაც იქნა გაზიარებული.

დიმიტრი გეგენავამ ასევე დაამატა, რომ საგნის მახასიათებელში მითითებულია შესავალი კურსია დახელოვნების, თუ დამოსტატებელი და ამ კურსზე აღნიშნულია, რომ არის შესავალი კურსი. ექსპერტთა თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ მაშინ სილაბუსები უნდა აიგოს სხვანაირად, არ ამბობს, რომ არ შეიძლება იყოს შესავალი და კურსები, რომლებიც ამას გააღრმავებს.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ ისინი ეთანხმებიან რეკომენდაციის შემდეგ ფორმულირებას: დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს ის მიმართულებები და გაღრმავების ის კურსი რომელიც ზედა კურსის საგნებში ისწავლება. რაზეც ექსპერტთა თავმჯდომარეც დაეთანხმა. დიმიტრი გეგენავამ ასევე დაამატა, რომ საგნების თემატიკა გადაფარვადი რა თქმა უნდა იქნება შინაარობრივად, მაგრამ მთავარია რა ფორმით იქნება და რა შედეგზე გაიყვანს სტუდენტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება გამაღრმავებელ კუსრში აქცენტი დაისვას ფოუს ჯგუფის მონაცემთა ანალიზზე რაც უფრო შემოქმედებითი და უფრო რთული მასალაა და უფრო კომპლექსური ცოდნაა საჭირო, თუ ასე იქნებოდა სილაბუსები აგებული არ გამოთქვამდა შენიშვნას. როცა ამბობს გადაფარვას გულისხმობს, რომ არ ჩანს განსხვავება კონკრეტული მეთოდის ფარგლებში რა განსხვავებას უზრუნველყოფს.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დასკვა კითხვა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მეორე და მესამე რჩევაზე. მესამე რჩევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია და რატომ არის რჩევაში და რა შეიძლება ითქვას პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით 80 პროცენტზე მეტი მოწვეული პედაგოგები კითხულობენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იაგო კაჭკაჭიშვილმა განმარტა, რომ დოქტორის ხარისხის სოციოლოგების პრობლემა ყველა უნივერსიტეტს უდგას და არ არიან განებივრებულები ამდენად ეს ვერ იქნებოდა რეკომენდაცია რადგან თუ რესურსების ნაკლებობაა ამ რესურსების ნაკლებობის სწრაფად შევსება არის ილუზია, თუმცა რჩევაში კი უწერიათ მისი მოსაზრება, რომ პედაგოგობა ამ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ისეთ პირს შეეძლოს ვისაც მაგისტრის ხარისხი მაინც აქვს.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ იკითხა ასევე, რომ რამდენად ხშირი იყო, როცა კურსს კითხულობდა ადმიანი ვისაც არ ჰქონდა მინიმუმ მაგისტრის ხარისხი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იაგო კაჭკაჭიშვილმა უპასუხა, რომ არ იყო ბევრი შემთხვევა სავალდებულო საგნებთან კარგია, რომ მათ უმრავლესობას აქვთ მაგისტრის ხარისხი, ასევე არიან დოქტორის ხარისხის პირებიც, თუმცა არიან პედაგოგები ვისაც მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვთ.
საბჭოს წევრმა ნინო დობროჯიგინიძემ დაამატა, რომ საგნები სოციოლოგიიის შემთხვევაში მიჯნაზე თუა თავისუფლად შეიძლება წაიკითხოს ლინგვისტმაც და სოციოლოგმმაც, არაა აუცილებელი წაიკითხოს სოციოლოგმა.
დიმიტრი გეგენავამ დაამატა, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონე პედაგოგები ძირითადად უძღვებიან პრაქტიკის კურსს ან სპეციალობის არჩევითს რაც ძალიან კონკრეტული და სპეციპიურია, ამან გამოიწვია სიმრავლე საგნების, იმისთვის, რომ მრავალფეროვანი ყოფილიყო არჩევითი საგნების კუთხით.
საბჭოს წევრმა პაატა პრეკაშვილმა დაამატა, რომ საბჭოს წევრს ირმა წერეთელს რთანხმება, იმ ნაწილში, რომ საოფისე პროგრამები არ უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ პრაქტიკა ესაა, რომ ამას აკეთებეს მთელი საბალავრო პროგრამები. მეორე საკითხს რაც შეეხება, ლიდერობა, საქმიანი კომუნიკაცია, მოლაპარაკებები, არის საუნივერსიტეტო საგნები, როგორც საბალავარო ისე სამაგისტრო დონეზე და როგორც საქართველოში ასევე ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში კითხულობს ამ საგნებს და სურს კომპეტენციის გაზიარება. აღნიშნულ შემთხვევებში არის გადაფარვები და კონტენტის სიმცირე, ლიდერობა არის საქმიან კომუნიკაციასთან გადაფარვებში ასევე არის მოლაპარაკების ხელოვნებასთან, მაგალითად ლიდერობის მე-13 თემა არის მოლაპარაკების. მოლაპარაკების ხელოვნებაში ორი ძირითადი ხაზია სამართლებრივი და ბიზნესის ღირებულების შექმნის. კითხვა ჰქონდა ასევე, ლიდერობას კითხულობს პროგრამის ხელმძღვანელი და ის ფოკუსირდება როგორც სოციოლოგი, სილაბუსში არის მითითებული კონფლიქტოლოგიის მაგისტრი, ამის მიუხედავად ლიდერობა მთლად ეს სპეციალობა არაა და გარედან, რომ მოვიდეს ლიდერობის სპეციალისტი ამაზე რა მოსაზრება ექნებათ. მოლაკებების ხელოვნებას რაც შეეხება, ვინც კითხულობს ისტორიიის დოქტორია და ეს ისეთი დარგია ან სამართლის სპეციალისტმა სამართლის მიმართულებით უნდა წაიკითხოს ან ბიზნესის მიმართულებით ბიზნესის სპეციალისტმა.
დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ვინც ამ საგანს კითხულობს არის იტორიის დოქტორი, ასევე აქვს ხარისხი რელიგიათმცოდნეობის და კონფლიქტოლოგიის მიმართულებით, კურსი არის წაყვანილი უფრო საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერებების კუთხით. შესაბამისად მოლაპარაკების ხელოვნებაში აქცენტი ისტორულ-პოლიტიკურ ურთიერთობების გამოცდილებაზეა და ეს სწავლის შედეგებშიც ფიგურირდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიკო მეტრეველმა ლიდერობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებასთან ერთად ის არის არჩევითი კურსი და შესაძლებელია კონკრეტულმა სტუდენტმა ორივე კურსი არ გაიაროს. კომპეტენციას რაც შეეხება, რეზიუმეშიც აქვს

მითითებული, რომ ამ მიმართულებით აქვს ტრენინგები გავლილი გრძელვადიანი პერსპექტივით და ამ მიმართულებით აქვს გამოცდილებაც. მუშაობდა კონკრეტულ ორგანიზაციებში და პრაქტიკული კუთხით აქვს გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი კენჭისყრაზე პროგრამის 4 წლით აკრედიტაციის შესახებ ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას კურირებს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომლის კვლიფიკაცია სოციოლოგიაში ამოიწურება სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით, მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის მეორე ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში.
ბ) სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორი ხელმძღვანელის კვალიფიკაციის (სოციოლოგიის დარგში) არსებითი განსხვავებიდან გამომდინარე, აუცილებელია, მათ შორის განხორციელდეს კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა. კერძოდ, პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა აიღოს დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელმა. ეს გულისხმობს პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების რევიზიას, პედაგოგთა მოწვევას და ა.შ; რაც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ის ძირითადად დაკავდეს პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხებით. აქედან გამომდინარე, პროგრამას უნდა ჰყავდეს არა თანაბარი უფლებამოსილების მატარებელი ორი ხელმძღვანელი, არამედ ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და ერთიც თანახელმძღვანელი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.
გ) დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს ის მიმართულებები და გაღრმავების ის კურსი, რომელიც ზედა კურსის საგნებში ისწავლება შემდეგ კურსებს შორის:
• კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1;
• თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები;
• სოციალური მეცნიერებების კვლევის მთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლვეის მეთოდები.
დ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსს „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსს. „სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები“ ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული პროგრამიდან, ან შეიცვალოს მისი ფოკუსი და კურსმა აქცენტი დასვას სოციალური მცნიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური კვლევის კონკრეტულ მეთოდებს
ე) აუცილებელია, რომ „სოციოლოგიის შესავლის“ და „რელიგიის სოციოლოგიის“ კურსების სილაბუსები გამდიდრდეს ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ლიტერატურით.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას აკრედიტაცია ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

3. **მესამე საკითხი -** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 11 ივნისის N124
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
5	კვალიფიკაციის დონე	მე-7
6	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	06
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0178, შატილის ქუჩა N4

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა დიმიტრი გეგენავამ
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება

- შედარებითი კერძო სამართლის სილაბუსების სტრუქტურის დახვეწა. გამდიდრდეს და გადახალისდეს ლიტერატურა, განსაკუთრებით ანგლო ამერიკის ქვეყნების სამრთლის ნაწილში;
- მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის სილაბუსი შეივსოს თემატიკის მიხედვით, კერძოდ დაემატოს საბანკო გარანტიის ნაწილი;

- საბანკო და სადაზღვეო სამართლის სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა და ამასთანავე სილაბუსის თემატიკა და ლიტერატურა მიესადაგოს მის სათაურს, პრაქტიკული ელემენტი მიესადაგოს საგნების, საბანკო სამართალი საბანკო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკისა და სადაზღვეო სამართალი სადაზღვეო ხელშეკრულებათა მეთოდიკის სათაურებს;
- ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიმზების სილაბუსში შეიცვალოს ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს ახალი ლიტერატურით;
- სილაბუსში წარმოდგენილი საკითხები შინაარსობრივად მიესადაგოს სამაგისტრო დონის მოთხოვნებს;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. **მეოთხე საკითხი -** შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 20 ივნისისN132
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0401
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი N76

საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- არა

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რთულად გაზომვადი შედეგები ჩანაცვლდეს ადექვატური გაზომვადი აღწერით;
- მკვეთრად განისაზღვროს შეფასების გაზომვადი მაჩვენებლის ზღვრული მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშნელობის მიღწევისას არის აუცილებელი კონკრეტული ქმედების განხორციელება);
- გადაიხეოს საგნების სილაბუსები და მოხდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ შეიცვალოს შინაარსობრივად (ამ შემთხვევაში საგანი უნდა გადანაცვლდეს მომდევნო სემესტრებში და შესაბამისად დაედოს წინაპირობა) ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა“); საგანისთვის „ოპერაციული სისტემები“ წინაპირობა წარმოდგენილი სახით თუ დარჩება საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა შეიცვალოს შინაარსობრივად; საგანს „ინფორმაციული უსაფრთხოება“ წინაპირობად უნდა დაედოს ორი საგანი: 1. „კომპიუტერული ქსელები“, 2. „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“; საგანს „კომპიუტერული ქსელები“ დაემატოს წინაპირობად საგანი „ოპერაციული სისტემები“

- გაიზარდოს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა და მრავალფეროვნება;
- დაემატოს საბუნებისმეტყველო საგნები;
- გაიზარდოს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა;
- მოწვეული პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი არ იცნობენ პროგრამის განვითარებისათვის დაგეგმილ ცვლილებებს და რიგ მეთოდოლოგიას, რომლის გამოყენებასაც გეგმავს უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შესაფასებლად. ამიტომ აუცილებელია გაიზარდოს მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის დაგეგმვაში პროგრამის შემმუშავებელ კომიტეტში, მრჩევალთა საბჭოს შემადგენლობაში ან/და სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვის გზით;
- პროგრამაში წარმოდგენილია ორი საგანი „კომპიუტერული უნარები 1“ და „კომპიუტერული უნარები 2“ (სულ 10 კრედიტი), რომლებიც ძირითადად მოიცავენ საოფისე პროგრამების გამოყენებას, და ფარავენ საკითხებს სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამიდან. შესაბამისად, უნდა მოხდეს ასეთი საკითხების ამოღება და შინაარსით უმაღლესი განათლების შესაბამისი საკითხებით ჩანაცვლება ორის ნაცვლად ერთი საგნის (არაუმეტეს 5 კრედიტი) ფარგლებში.
- სასწავლო კურსი „ინფორმაციული უსაფრთხოება“-ში მოცემული საკითხები აღნიშნულ კურსში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოპერაციული სისტემების და ქსელების თავდაცვისთვის გამოყენებული პროგრამული და აპარატურული საშუალებების გამართვა; ღრუბლოვანი სისტემების უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების საკითხები. კრიპტოლოგიურ ნაწილში კი აუცილებელია ისწავლებოდეს სიმეტრიული და ასიმეტრიული ალგორითმები, ციფრული ხელმოწერის პრინციპები და სერტიფიკატები;
- საგანში “კომპიუტერული ქსელები” უნდა დაემატოს მარშუტიზაციის საფუძვლების შესაბამისი საკითხები;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა სასრულდა 17:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა